

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა

მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის (შემდგომში „პოლიტიკა“) საფუძველზე, ხორციელდება კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული მესამე პირების მიერ.

მომხმარებლის მიერ წესებსა და პირობებზე თანხმობა ჩაითვლება პირის მიერ წერილობით თანხმობად პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაზე.

მომხმარებლის მიერ კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდება ატარებს სავალდებულო ხასიათს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი ვერ შეძლებს აპლიკაციაში რეგისტრაციას და შესაბამისად ვერ მიიღებს მომსახურებას კომპანიის მხრიდან.

1. ტერმინთა განმარტება

თუ თავად კონტექსტიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს, პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ წესებისა და პირობების მიხედვით მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა. კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პოლიტიკით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს.

2. პერსონალური მონაცემები

ჯეროვანი მომსახურების განწვევის მიზნით, კომპანია მომხმარებლებისგან აგროვებს შემდეგი ტიპის მონაცემებს:

2.1. მონაცემებს, რომლებსაც კომპანიას თავად აწვდის მომხმარებელი (რეგისტრირებული მომხმარებლის შემთხვევაში):

➤ მონაცემები:

- მობილურის ნომერი;
 - ელექტრონული ფოსტა;
 - სახელი;
 - გვარი;
 - ასაკი;
 - სქესი;
 - ბანკის ბარათ(ებ)ის რეკვიზიტები;
 - არის თუ არა რეგისტრირებული მომხმარებელი სტუდენტი.
 - რომელი უნივერსიტეტის სტუდენტი არის რეგისტრირებული მომხმარებელი.
 - ენევა თუ არა რეგისტრირებული მომხმარებელი სიგარეტს.
 - ჰყავს თუ არა რეგისტრირებულ მომხმარებელს შინაური ცხოველი/ფრინველი.
- დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც რეგისტრირებული მომხმარებელი კომპანიას აწვდის საკუთარი ინიციატივით, წერილობით ან/და ზეპირად.

2.1.1. მონაცემები, რომლებსაც კომპანია იღებს მომხმარებლისგან დამოუკიდებლად.

- მომხმარებლის IP მისამართი;
- გამოყენებული ბრაუზერის ტიპები და ვერსიები;
- წვდომის სისტემის მიერ გამოყენებული ოპერაციული სისტემა;
- წვდომის თარიღი და დრო;
- კომპანიის აპლიკაციის გვერდებს, რომლებსაც ეწვით;
- რეფერერის URL (აღრე მონახულებული გვერდი);
- მობილური მონაცემების ტიპი, რომელსაც იყენებთ;
- თქვენი მობილური მონაცემების უნიკალური ID;
- თქვენი მობილური ოპერაციული სისტემა;
- მობილური ინტერნეტ ბრაუზერის ტიპი;
- მომხმარებლის ადგილმდებარეობა;
- უნიკალური მონაცემების იდენტიფიკატორები და სხვა დიაგნოსტიკური მონაცემები.

3. მონაცემთა დამუშავების მიზანი

- 3.1. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული მესამე პირის მიერ, მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნებით.
- 3.2. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული მესამე პირის მიერ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება კომპანიის მიერ მომხმარებელთათვის ჯეროვანი და მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისა და აპლიკაციი შეუფერხებელი სარგებლობისთვის.
- 3.3. მონაცემთა დამუშავების ზოგადი მიზნები:
 - აპლიკაციის გამოყენების დახვეწა და გაუმჯობესება.
 - აპლიკაციაზე მომხმარებელთა შეუფერხებელი წვდომა.
 - რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის მომსახურების განწევა.
 - საექვო/კანონსაწინააღმდეგო ტრანზაქციებისა თუ ქმედებების აღმოჩენა/დაბლოკვა.
 - თაღლითობისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების აღკვეთა.
 - მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სტატისტიკების მაქსიმალური სიზუსტით შედგენა.
- 3.4. მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები:
 - 3.4.1. მობილურის ნომრით კომპანია უზრუნველყოფს რეგისტრირებულ მომხმარებელთან მუდმივად კონტაქტზე ყოფნას, მის ინფორმირებას და სურვილის შემთხვევაში, სხვა რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. კომპანია უზრუნველყოფს რეგისტრირებული მომხმარებლისათვის მომსახურებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციის, აქციების და სხვა ცნობების/ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის მარკეტინგული მიზნებისთვის.
 - 3.4.2. ელექტრონული ფოსტით კომპანია უზრუნველყოფს რეგისტრირებულ მომხმარებელთან კონტაქტს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც რეგისტრირებული მომხმარებელი მიუწვდომელია ტელეფონის ნომერზე ან აღარ არსებობს ნომერი. ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით კომპანია უზრუნველყოფს რეგისტრირებული მომხმარებლისათვის მომსახურებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციის, აქციების და სხვა ცნობების/ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის მარკეტინგული მიზნებისთვის.
 - 3.4.3. სახელი და გვარი გამოიყენება რეგისტრირებული მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის.
 - 3.4.4. საბანკო ბარათის მონაცემები გამოიყენება კომპანიის მომსახურების ასანაზღაურებლად.
 - 3.4.5. ინფორმაცია უნივერსიტეტებთან დაკავშირებით მუშავდება იმ მიზნით, რომ რეგისტრირებულმა მომხმარებელმა შეძლოს ფასდაკლებით სარგებლობა, ამასთან, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებზე შესაძლოა გავრცელდეს განსხვავებული ფასდაკლების პაკეტები.

- 3.4.6. შინაურ ცხოველებთან/ფრინველებთან და სიგარეტის მოწვეასთან დაკავშირებით ინფორმაციას კომპანია იღებს სერვისის გაუმჯობესებისა და თავსებადი რეგისტრირებული მომხმარებლების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით.
- 3.4.7. ასაკის შესახებ ინფორმაცია მუშავდება, რათა რეგისტრირებულმა მომხმარებელმა შეძლოს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისა თუ ინტერესების რეგისტრირებული მომხმარებლის პოვნა.
- 3.5. რეგისტრირებული მომხმარებლების შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება ასევე გამოიყენება მარკეტინგული მიზნებისა და რეგისტრირებულ მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული მომსახურების/შეღავათების შეთავაზებისათვის.
- 3.6. რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს, კომპანიას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.
- 3.7. რეგისტრირებული მომხმარებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, თუმცა ასეთ დროს იგი ვეღარ მიიღებს მომსახურებას და არ დაუბრუნდება მომსახურების საფასური კომპანიის მხრიდან.

4. მონაცემთა მესამე პირებზე გადაცემა

- 4.1. კომპანია უფლებამოსილია რეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემები, პოლიტიკაში განწერილი მიზნებისათვის, კონფიდენციალობის დაცვით, გადასცეს მესამე პირებს.
- 4.2. წინამდებარე დოკუმენტის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გარეშე პირს გადასცეს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია.

5. ცვლილებები

- 5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში, შესაძლოა დროთა განმავლობაში შევიდეს გარკვეული ცვლილებები/დამატებები, რომლებიც ავტომატურად აისახება აპლიკაციაში. აპლიკაციის გამოყენებით ან/და მომსახურების მიღებით, თქვენ ეთანხმებით აღნიშნულ ცვლილებებსა თუ დამატებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცვლილებების/დამატების შემთხვევაში, კომპანია რეგისტრირებულ მომხმარებლებს აპლიკაციის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით აცნობებს აღნიშნულის შესახებ.

6. შენიშვნები

- 6.1. კომპანია აცნობიერებს თითოეული მომხმარებლის პერსონალური მონაცემის დაცულობისა თუ დამუშავების წესების მნიშვნელობას.
- 6.2. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებლის აზრი და დამოკიდებულება, მათ შორის და არამხოლოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

6.3. კომპანია გამოთქვამს სურვილსა და მზაობას ნებისმიერი შენიშვნის/რჩევის შემთხვევაში, გაგებით მოეკიდოს მომხმარებლის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას, შესაბამისად, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: roommatetbilisi@gmail.com